



საპროლეტარული სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 4 (6565)



1980 წ.

ინახარი, კვირა. შანი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 13 აპრილიდან



სსრ კავშირის 47-ე რეპროდუქცი

საპროლეტარული სპორტკომიტეტის

ფართო დახვეწილი შეხვედრები

საპროლეტარული მოფარიავეთა ნაკრებმა სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემიის ფინალურ შეჯიბრებაში 92 ქულა მოაგროვა და საერთო VII ადგილი დაიკავა. როგორც გროვდებოდა ეს ქულები, როგორც შედეგები მოიხვედრებოდა სპორტსმენებმა ცალკეული იარაღით ბრძოლაში, სად გვიწონდა ნაჯარნები, რამაც ნაკრების შემდგომ წინსვლაზე იმოქმედა, როგორცაა შემჩნეული ხარვეზების გამოწვევების გზები? ამაზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ და შეესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს საპასუხისმგებელი სტარტებისთვის მზადების პერიოდში ინტენსიური, ფორმის, სამედიცინო მომზადებები: მზადი ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. მუშაობდა განსაკუთრებით კარგი პირობები ჰქონდათ გუნდს გამართულ შეჯიბრებაში, რისთვისაც პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ი. ჭანტურია საქართველოს სპორტკომიტეტმა სიგელით დააჯილდოვა.

ნაკრები გადაწყვეტილი სტარტებისთვის სპეციალურად შემუშავებული გეგმებით ემზადებოდა, საშუალებები გამოცდილების მიღების მიზნით სპორტსმენთა და სპორტსმენების ტურნირებში მონაწილეობდა. დასკვნითი შეჯიბრება მოეწყო რსფსრ-ს ნაკრებთან ერთად, რამაც უღვივებლად დადებითი როლი შეასრულა.

მაგრამ ტექნიკის სრულყოფისთვის ხელსაყრელი პირობები ყველა იარაღით მოფარიავეებმა ერთნაირად როდი გამოიყენეს. ამან თავი იჩინა სპორტაკადემიის ფინალურ ტურნირებში. მოსკოვის სტარტებში კარგ შედეგს მიღწეის ხმლით მოასპარეზებდა. მწვერთვების ტ. მესხისა და გ. ლორთქიფანიძის აღსანიშნავი IV ადგილი მოიპოვეს. გუნდურ ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდა დ. ბუხაიძემ, რომელმაც უკრაინისა და სომხეთის კოლეგებთან შეჯიბრებაში 3-3 შეხვედრა მოიგო.

სპორტაკადემიამ ცხადყო ჩვენი ქალთა გუნდის (მწვერთვების ს. აკიმპულოვი და თ. ტროფიმოვა) მზარდი ოსტატობა. ნაკრების თითქმის ყველა წევრმა გაუძლო მწვერთვ ბრძოლებს და კოლეგებში V ადგილი დაიკავა. შესაძლებლობაზე დაბალი შედეგი აჩვენეს რაბირისტმა ვაქეებმა (მწვერთვები შ. დაბასელია და ნ. ძაგანაშვილი). პირადი შეჯიბრებების შედეგით მათ მე-4 რიგითი ნომერი ჰქონდათ. ქვეჯგუფშიც კარგ

გად ჩაატარეს შეხვედრები, მაგრამ შემდეგ ყველა მატჩში დამარცხდნენ და VIII ადგილს დასჯერდნენ. მოსკოვის გუნდთან გამაწყვეტ შეხვედრაში ცუდად გამოვიდა გ. აბაშიძე. მან წააგო 3 ბრძოლა, რის შემდეგ გუნდმა V-VI ადგილებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა. კოლეგიამ განსაკუთრებით აღინიშნა დაშინი მოფარიავეთა ცუდი შედეგები. მწვერთვების ე. ყოჩიაშვილისა და მ. კვალიშვილის აღსანიშნავი ვერ გაუძლეს დაძაბულობას, წააგეს პირველივე შეხვედრა ყირგიზეთის ნაკრებთან — 3:7, მეორე უკრაინის გუნდთან დამარცხდნენ და, ტაჯიკეთის სპორტსმენებზე გამარჯვების მიუხედავად, 8 უძლიერესი გუნდის მიღმა დარჩნენ. ამის გამო მათ რესპუბლიკის ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანეს. უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში ნაკრებს ხელი შეუშალა სხვა ფაქტორებმა. განსაკუთრებით საგულანსობა რესპუბლიკაში ამ სახეობის განვითარების მცირე გეოგრაფია, სპორტსაზოგადოებების, უწყებების უმეტესობის ცუდი მუშაობა, წვრთნაში დაშვებული შეცდომები, ზოგიერთი მოფარიავეის უღისეობა.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ნაკრების 20 წევრი „ბურევესტიკის“ (11), არმიის სპორტკლუბის (7), „სპარტაკისა“ და „განთიადის“ აღზრდილები არიან. თუ ამ საკითხს ტერიტორიული პრინციპით მივივლით, ნათელი გახდება, რომ რესპუბლიკის სათანადო შევსებას მხოლოდ თბილისი და ქუთაისის აქლევს (აღმათ იმიტომ, რომ ფარიაკობის სპეციალიზებული დარბაზები მხოლოდ ამ ქალაქებშია).

უდავოდ უარყოფითი როლი ითამაშა კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის (ხელმძღვანელი ა. მეიფარიაძე) უკმარა პრაქტიკულმა დახმარებამ. დასკვნით სასწავლო-საწვრთნო შეჯიბრებებზე ადგილი ჰქონდა სპორტული რეჟიმის დარღვევის ფაქტებს, რისთვისაც ნაკრებიდან გაიცილებნენ თბილისელები თ. ბოჭორიშვილი, ი. დავითაშვილი და ბათუმელი გ. ცნობილაძე.

ნაკრების მზადების ერთ-ერთ სერიოზულ ხარვეზად კოლეგიამ ისიც მიიჩნია, რომ დაბალი იყო გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკური და ნებულობითი მომზადების დონე. კოლეგიამ საქართველოს მოფარიავეთა ნაკრების გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტაკადემიაში დაამკაყოფილებლად მიიჩნია. დაისახა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის სპორტსმენთა მორიგ, VIII სპორტაკადემიაში უკეთესი შედეგების მოპოვებას.


პოკეი
ოლიგოპირი წლის
ველინაში დამთავრდა ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი პოკეიში. ტურნირში თავი ისახელა საბჭოთა ნაკრებმა. მან ფინეთის, შვედეთის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, გერმანიის, აშშ-სა და უეიკარის კოლეგებთან ბრძოლაში შესძლო უძლიერესი სახეობის მოპოვება.

პირველი რეპორტი
საბჭოთა პოკეისტებს, რომლის უფროსი მწვერთელია ი. მოროზოვი, ფინალურ ტურნირში არც ერთი მატჩი არ წაუგიათ და ქულათა მიქსიუმით მოიპოვეს ოქროს მედალს. მეორე ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, მესამე — შვედი პოკეისტები.

რიგა. „დაუგავს“ სპორტული დარბაზი. 5 იანვარი.
„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 105:92 (47:36).
„დინამო“: მილოვიდოვი (4), ბორდარევი (2), გრძელიძე (4), ბიჭაშვილი (10), ხიზაძე (4), ნ. ქორჭია (17), დერიუგინი (36), მ. ქორჭია (14), სინჯარაძე (2), პულავესკი (12).

„ლოკომოტივი“: ბრიგალოვი (16), კაზარუევსკი (10), დენისენკო (14), ინდანი (6), ნიკოლაევი (11), ერმოლოვი (12), როსოვი (10), შიბილოვი (11), კაშნიკოვი (2).

მსჯეობ: მ. ბერნაცი (რიგა), რ. პეტროსოვი (ნოვოსიბირსკი).
ლატვიის დედაქალაქი რიგადილ კალატბურთს მასპინძლობს. „დაუგავს“ სპორტულ დარბაზში განახლდა სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატი კალატბურთში.
დინამოელები რიგაში მატჩის წინა დღეს ჩამოვიდნენ. მანამდე კი მოაკლვეს, სადგურში პირდაპირა საინტერესო დილაგა პირველი მატჩის მეტოქეთა მწვერთელებს შორის.



თხილამურებით ხტომა

პ. ნოიკარი თანსი გათავაზებას ლიბერობს

საბაბლწლი ტრადიციულ „თიხი ტრამპლინის“ ტურნირზე სპორტსმენებს ჩასატარებელი დარჩათ უკანასკნელი ვარჯიშები. ვიტყობინებოდით, რომ ასპარეზობას, რომლის სტარტსაც ობერ-სტროფის 90-მეტრიან ტრამპლინზე დაიწყეს, სათავეში ჩაუდგა გასული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ი. დანებერგი (გერმ.) — 243,2 ქულა (ნახტომები 111 და 107 მ). მეორე შედეგი ჰქონდა 19 წლის ავსტრიელი პ. ნოიკარს — 243,5 (112 და 100,5 მ). მისმა თანაგუნდელმა ა. გოიერმა პირველ ცდაზე ტრამპლინის რეკორდი დაამყარა — 113 მ იფარინა, მაგრამ საბოლოოდ III ადგილზე დარჩა.
„თიხი ტრამპლინის“ ტურნირის შედეგები მსოფლიოს თანსი გათამაშებაშიც შედის. ამიტომაც ობერსტროფის სტარტების შემდეგ თანსი გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა ნოიკარი. მან

პალრაკი

სპარტი ღუნანგუი

ეს პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცა გარმიშპარტენკერენში. სახალწლო ტურნირის მეორე შეხვედრაში მან აქაურ 90-მეტრიან ტრამპლინზე 232,2 ქულა მოაგროვა (96 და 99 მ) და ამ შეჯიბრებაშიც ლიდერი გახდა, ვინაიდან დანებერგი 27-ე ადგილზე გავიდა. II ადგილი დაიკავა ფინელმა ი. პუიკონენმა — 230,4 ქულა (96,5 და 99 მ).
მესამე ტურის შეჯიბრება ინსბრუკის ოლიმპიურ ტრამპლინზე ჩატარდა. ნოიკარს გამარჯვება არც აქ გასჭირვებია. პირველივე ცდაზე ტრამპლინის რეკორდიც გააუმჯობესა (107 მ). მეორე ცდაზე 102 მეტრზე იფარინა და საბოლოოდ 250,51 ქულა მოაგროვა. ნოიკარს 3 ტრამპლინის გამაში 726,21 ქულა მოუგროვდა. იგი მეტოქეებს საგრძნობლად უსწრებს.

მე-4 წუთი—10:8, მე-8 წ.— 22:18. მიხეილ ქორჭია 15 წამში ოთხ საჯარიმოს ესერის და თამაშში გარდატეხაც შეტანილია. პირველი ტიპის ბოლო წუთამდე თბილისელები 10-12-ქულიან სხვაობას ინარჩუნებენ.
მეორე ტიპის დასაწყისი „ლოკომოტივის“ უპირატესობით წარიმართა. განსაკუთრებით აქტიურობს როკოვი, რომელმაც 2 წუთში 8 ქულა შესწავა გუნდს. 27-ე წუთზე ანაგრიშია 60:56. 29-ე წ.— 65:62! ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები. ამ წუთებში ისევ დერიუგინმა გამოიჩინა თავი და გუნდის სხვა დააწინაურა. 39-ე წუთზე სხვაობამ 17 ქულას მიაღწია — 104:87.
თბილისელებმა მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს.
მატჩის შედეგად: პ. პერმინოვი: ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ისეთ მეტოქესთან, როგორც თბილისის „დინამო“, მეტის გაკეთება არც შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ II ტიპის დასაწყისი იყო მომენტით, როცა შეიძლებოდა გამარჯვების ილუზია შეგვექმნა. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო დერიუგინის უკნებელყოფა, ამ მიზნით რამდენჯერმე შევეცადეთ დაცვაში თამაშის ტაქტიკა, მაგრამ ამაში — ვერაფერს გავხდით. მ. ქორჭია—დერიუგინის რგოლი ვერ გაჯარდვით.
სხვათა შორის პერმინოვი პირველი ტიპის შემდეგ მივიდა ლევან მოსევილიანთან და უთხრა — გუნდის ვიხუმრებო.
ლ. მოსევილი: თამაშით უკმაყოფილო ვარ. ჩვენი მიზანი იყო ქულათა სხვაობის დიდი შარაგი შეგვექმნა, თან ყველა კალათბურთელი გამოგვეცადა. ამის საშუალება არ მოგვეცა. გუნდმა კვლავ სუსტად ითამაშა დაცვაში. მართალია დერიუგინმა და ბიჭაშვილმა ამ მატჩამდე გუნდთან მხოლოდ თითო ვარჯიში ჩაატარეს, მაგრამ დებიუტანტთან მატჩში მიხეც არავითარი გამართლება არ არსებობს. თუმცა, ტრადიციული მღელვარება მაინც მხედველობაშია მისაღები.
დღეს თბილისელები მოსკოვის „დინამო“-ს თამაშებენ.

ჯ. ჯახუბაშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი ხატკორ.).



ჯანმრთელობის საქალაქო...

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება საოჯახო და ჯანმრთელობის სპორტკომპლექსები, რომლებიც თავის ორიენტაჟში სულ უფრო მეტ მონაწილეს იზიდავს. ეს ნათლად დადასტურდა თბილისის ჯანმრთელობის მორიგმა სპორტკომპლექსმა, რომლის სტარტზე გამოვიდა ფიზკულტურელთა სარეკრდო რაოდენობა — 600-მდე მონაწილე.

საქალაქო ტურნირმა, რომელსაც წინ უძღოდა საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, სახლ-მშენებლოების (I ეტაპი) და რაიონული (II ეტაპი) პირველობები, დედაქალაქის ბაზებზე მაღალ დონეზე ჩატარდა.

გამარჯვებულთა თბილისის ყველა რაიონის ნაკრები იბრძოდა. ისინი პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მაგიდის ჩოგბურ-

თში, მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, მცირეკლიბრანი შაშხანის სროლაში, მძლეოსნობაში, ცურვისა და ჭადრაკში.

მონაწილეთა შორის იყვნენ 25 წლისა და უფრო დიდი ასაკის ინტერანი სპორტსმენები, როგორც სპორტის ოსტატები, ისე უთანრიგობებიც, რომლებსთვის ფიზკულტურა და სპორტი ჯანმრთელობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად პირველი მისის სახელობის რაიონის მოჭადრაკეთა გუნდის ინტერესებს იცავდა რესპუბლიკის მრავალჯგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ჩაიკოვსკია. სწორედ მისმა გუნდმა მოიგო პირველობა ამ სახეობაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ლე-

ნინის რაიონის წარმომადგენლები (7 სახეობის ჯამში 16 საჯარო ქულა). ისინი უძლიერესნი იყვნენ მაგიდის ჩოგბურთში, სროლასა და მძლეოსნობაში. ფრენბურთელებმა II ადგილი დაიკავეს. მოცურავეებმა — III. ფეხბურთელები და მოჭადრაკენი IV ადგილებზე გავიდნენ.

გამარჯვებულთ 9 ქულით ჩამორჩნენ ოქტომბრის რაიონის გუნდები, რომლებიც ძირითადად 39-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მათ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს რაიონულ ტურნირში, ხოლო საქალაქო სპორტკომპლექსებში იმარჯვეს ცურვაში და II ადგილი მოიგეს მძლეოსნობაში ასპარეზობაში, 3 სახეობაში — ფრენბურთში, სროლასა და ჭადრაკში

ისინი III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.


26 საჯარო ქულით სპორტკომპლექსის საერთო III ადგილი ხვდა ორჯონიძის რაიონის ნაკრებს, რომლის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ 76-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ფიზკულტურელები. ამ რაიონის წარმომადგენლებმა მოიგეს ფრენბურთელთა ტურნირი. მინი-ფეხბურთში დაიკავეს II ადგილი, ხოლო მძლეოსნობაში — III.

26 საჯარო ქულა დაუგროვდა 26 კომისრის რაიონის ფიზკულტურელებსაც, მაგრამ იმის გამო, რომ სპორტკომპლექსის მათ არც ერთი პირველი ადგილი არ მოუგიათ (მეორე ადგილებზე გავიდნენ სროლასა და ცურვაში, მესამეზე — ფეხბურთში), საბოლოოდ IV ადგილი მიეკუთვნათ.

აი, ამ თხზვა ჩაიკოვსკის სპორტკომპლექსის ყველა, 7 სახეობაში გუნდების გამოყვანა. პირველი მჯარის ტურნირი ფიზკულტურის კომიტეტის დახმარებით მარაგულსთან ერთად უკეთ მოახერხა მძლეოსნობასა და სროლაში კომპლექტივების დაკომპლექტება. კიროვის რაიონმა ვერ გამოიყვანა გუნდები სროლასა და ცურვაში (ფეხბურთში მათ ბადალი არ ჰყავდათ, ხოლო ჭადრაკში II ადგილი დაიკავეს, კალინინის რაიონმა ვერ იასპარეზა ცურვასა და ჭადრაკში, საქარხნო რაიონის გუნდი არ ჰყავდა ცურვაში (მათ III ადგილი დაიკავეს მაგიდის ჩოგბურთში).

საქალაქო ტურნირმა დადასტურდა ჯანმრთელობის სპორტკომპლექსის ღირებულების მცხოვრებითა მეტი დანიერება, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მომავალ ამგვარ ღონისძიებებში კიდევ უფრო გაიზარდება მონაწილეთა რიცხვი, ამაღლდება მაჩვენებლები.

ლ. ვაღაშვილი.



იკორიანი. მოსაფლავებულ გზაზე ჩორთით მოდიან ცხენები. კისრები მოუდრეკიათ, ურჩობენ, მინიცი იმორჩილებენ მხედრები. დახურული მანეჟი.

ვარჯიში დაიწყო. მხედრებმა რამდენჯერმე შემოუარეს სარბიელს... მერე ბარიერებზე ახტუნებენ ცხენებს. მანეჟის შუაგულში 11-12 წლის ბიჭუნა ცხენზე ჯდომას სწავლობს, მასზე წლივანებით უფროს ბიჭს კორდით უჭირავს ცხენი და ტრიალებს პატარა მხედარი კორდის ვარჯიშში.

ჭკუფს ახალგაზრდა კაცი ავარჯიშებს. მწვრთნელი გამოდგა, მიხეილ ტატიშვილი.

ვისაუბრობთ.

— ბავშვებს კონკურში ვეარჯიშებ, ეს დაბრკოლებათა გადალახვა გახლავთ, აი, ხომ ხედავთ... ლამაზი სპორტია არაა?

ეთანხმები და ერთი კითხვა იქვე შევადგე.

— ასე გულადები არიან პატარები, რომ მოსვლისთანავე ანდობთ ცხენს, თუ... ჯერ თეორიულად ასწავლით?

— რა თქმა უნდა, თეორიული მომზადება თითქმის ყველაფერშია საჭირო. ჯერ ცხენის ფიზიკურ აგებულებას ვასწავლით, ვაცნობთ მის ფსიქოლოგიას. ლექციებს ვიქტორ გრუკინი კითხულობს. ყოველივე ამას ცხენის შეკაზმვა, სადავების სწორედ დაქერა და სხვა წვრილმანი მოსწავლა. ბოლოს პატარა სპორტსმენებს ცხენზე ვსვამთ და კორდით ვატარებთ. ამ პროცესს, სულ ცოტა, სამი-ოთხი თვე სჭირდება. შემდეგ კი ცალკეულ ოლიმპიურ სახეობებში ვიწყებთ ვარჯიშს. ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლის ჯგუფის ხელმძღვანელობს მურმან კიკიანი, სამუდამო — რევზ მეტევირიაშვილი, კონკურსი მ. მადარია.

— მოსამზადებელ ჯგუფებში თანრიგოსნები თუ გყავთ?

— სამ თვეში ერთხელ ტარდება ჯგუფების კლასიფიკაცია — გადახაწვლა. ბავშვებს ვანიჭებთ თანრიგებს. ჩემს ჯგუფში ყველა თანრიგოსანია. ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებიცა გვყავს კონკურსში: ოლა კუტიკოვა, ბადრი მარკოზაშვილი, ვალერი შე-

ბერიერები... ცხენოსნობის გზაზე

ლია, კახა გეგეჭკორი. სამუდამო: ვია ჩომახიძე, შალვა ჩაპოძე. ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლაში — ნატალია დომანუშვილი.

— წარმატებები?

— არა უშავს, სამუშაო პირობებთან შედარებით, რა თქმა უნდა; 1979 წელს ნალჩიკში წარმატება პქონდა მარკოზაშვილს, რომელმაც ჩასატვლი კულები მისცა თბილისის გუნდს. კარგად იასპარეზა. ვია ჩომახიძემაც (მწვრთნელი რ. მეტევირიაშვილი).

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ მგონი სამუშაო პირობები ახსენეთ...

— პირობებით მართლაც ვერ დავიკვივნი. მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ძალზე ცოტაა ცხენოსანთა შეჯიბრებები... 1975 წლიდან თბილისში არ ჩატარებულა არც ერთი შეჯიბრება ბავშვებისთვის. მეორე: თბილისში მცხოვრებთა უმეტესობამ არც კი იცის, რომ დედაქალაქში არსებობს კლასიკური ცხენოსნობის შემსწავლელი ჯგუფები. არადა ცხენოსნობის ტრადიციას გაფრთხილება უნდა. ყველაფერი კარგი ხომ ძველის ბაზაზე იქმნება. არა გვაქვს გადახურული მანეჟი. ეს მანეჟი, სადაც ჩვენ ვვარჯიშობთ, იბორძის ეკუთვნის. დღისით დაკავებულია. მხოლოდ საღამოს გვეძლევა უფლება, რომ ჯგუფები ვევარჯიშოთ, არა გვაქვს ბარიერები...

— საღამოთი ბავშვებს ალბათ უჭირთ.

— ასეც არის. თანაც დროც არ გვყოფნის. მანეჟიდან გამოსასვლელი გზა რესტორან „ისინდის“ გზას კვეთს. დღე არ გავა, რომ

კონფლიქტი არ მოხდეს. ოპო, უკვე ცხრის ნახევარია...

დაღონებული ტოვებენ ბავშვები მანეჟს. ცხენებიც უხალისოდ მიჰყვებიან მხედრებს. ფლოკებს ურტყამენ ნახერსს და თვალი ბარიერებისკენ გაუბრუნებ... მწვრთნელის სიტყვები მისხენდება: საკუთარი გადახურული მანეჟი რომ გვექონდეს, არც მე და არც ჩემი პატარა მხედრები არ დავტოვებდით ასე მალე მოედანს...

უკანასკნელი ცხენიც ტოვებს მანეჟს. გასვლისას საოცრად ჭიხვიანებს...

— ასეთ ჭიხვინს აქ თუ გაიგონებთ, — ამბობს მიხეილი — ხომ ჰგავს ტყვეობაში მყოფის განწირულ ხმას? მთელი დღეები თამილაშია ჩაყვრილი. მერე მოდიან ბავშვები, ურიაშულით, სიცილით და, ცხენებიც ხალისიანად ფრუტუნებენ... მაგრამ რა მოკლეა ეს თავისუფლება ისეთი მგრძობიარე ცხოველსათვის, როგორც ცხენია...

მწვრთნელი ბავშვებს მიაცილებს თავლებისკენ, მე კი ახლა ბაზის დირექტორი მყავს მოსამდბნი.

გურამ კალმახელიძესთან საუბარი ისევ საცხენოსნო ბაზით დაიწყო:

— ცხენოსნობის სპორტული ბაზის გახსნამდე თბილისში არსებობდა მხოლოდ ცხენოსნობის სპორტული საზოგადოება, რომელიც რაღაც მიზეზების გამო დაიშალა 1953 წელს; თვით ცხენოსნობას, როგორც სპორტის სახეობას, დიდი დ შორეული ისტორია აქვს, საქართველოს ზოგი-

ერთ რაიონში ახლაც ეწყობა ეგრეთ წოდებული მარულა...

გურამ კალმახელიძე 1949 წლიდან ვარჯიშობს ცხენოსნობაში. 1955 წლიდან ხეუტიდება გაიტაცა. 1961 წელს დანიშნეს მწვრთნელად ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში. მერე უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლაშია. 1977 წელს საცხენოსნო სპორტულ ბაზაში მოვიდა, და აი, ახლა ამ ბაზის დირექტორია.

— ფაქტობრივად, ეს მშრალი ციფრები ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზ და მშვენიერ დღეებს იტყვენ.

— ცხენოსნობა ალბათ სპორტის ყველაზე რომანტიკული სახეობაა.

— ამაში ალბათ ბევრი დამეთანხმება. ცოტა პრეტენზიული გამონათქვამი კი არის, მაგრამ მაინც მგონია, რომ ცხენი თვითონ არის საოცრად რომანტიკული ცხოველი, მასთან რაღაც გაუცნობიერებელი დაკავშირებული, ადამიანები ყოველთვის რაღაცით ვცლობაზეთ ცხოვრებას, თუმცა ამას მერტაკებად ვახერხებთ ალბათ.

— ცხენოსნობით დაინტერესებულთათვის ინტერესოვლებული არ იქნება მოკლედ მაინც გვესაუბროთ ცხენის წვრთნის პროცესზე — რა სირთულეებს აწყდებით და საჭიროა თუ არა თითოეული ცხენის ხასიათის შესწავლა?

— ეს საკითხი ყველაზე მთავარია ჩვენს მუშაობაში. ცხენის წვრთნისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აქვს. გარდა ამისა, ცხენი მართლაც საოცარი ცხოველია, თითოეულს თავისებური ხასიათი აქვს. სირთულეებზეც გეტყვით. 1977 წლიდან საქართველოს სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველო მუშაობას შეუდგა სათავსოების, ტრიბუნების, მოედნების ასაშენებლად... სამი წელი უკვე გავიდა და მხოლოდ ერთი ტრიბუნა აშენდა. დიდი ობიექტი უნდა იყო, დასასრულზე იფიქრო. ალბათ იცით, რომ ბაზას არა აქვს დახურული მანეჟი. არ არის ცხენებისთვის საკმარისი საკვები. წელიწადში 160 ტონა საკვები გვეკუთვნის და მხოლოდ 70 ტონას ვიღებთ. იძულებული ვართ დანარჩენი თვა კოლმეურნეობიდან შევისყიდოთ. სპორტულ ჯგუფებს მეწვრთნელები სჭირდება, ისინი თეორიულად კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი. ფიზკულტურის ინსტიტუტში არ არის სპეციალური კათედრა, რომელიც ამ საქმით დაინტერესებულებს თეორიულ ცოდნას მისცემდა. არ არის დამზარებელი სახელმძღვანელოები, ძალიან გვიშლის ხელს ჩვენს ტერიტორიაზე რესტორან „ისინდის“ არსებობა, მით უფრო მას შემდეგ, რაც რესტორანის ქვემო სართულზე გახსნა სახიხკლე — ხშირად მოგვდის კონფლიქტი ნაბახუსეგ ხალხთან. კარგა ხანია დაისვა საკითხი შენობის საცხენოსნო სპორტული ბაზისათვის გადასაცემად. ჩვენ იქ ცხენოსნობის სპორტის მოყვარულთა კლუბს მოეაწყობდით. პრობლემები ბევრზე ბევრია, და თუ სერიოზული წარმატებები გვსურს, ისინი დროზე უნდა მოგვარდეს.

მანანა ჩალათაშვილი.

ჩაქალაქი სპორტის

რუსთავი

მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში მოეწყო საქალაქო გათამაშება მინი-ფეხბურთში 1968-69 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მე-4 და მე-18 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. მეოთხესკოლოელთა (ფეხბურთის მასწავლებელი უ. ლომსაძე) უპირატესობა აშკარა იყო და გადამწყვეტი შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 9:3.

ალსანიშნავია, რომ ამ მატჩში მ ბურთი გაიტანა გაია კლასიონამ, რომელსაც გადაეცა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისა და მომზარდობისთვის (19 გოლი) დაწესებული პრიზი.

რ. ბაბრიძე.
(ჩვენი კორ.)

ახმეტა

დამთავრდა ახმეტის რაიონის პირველობა მოკლე მანძილებზე რბენაში, სიგარძე ტრამაში, ტყორცნებასა და კროსში „იმედის სტარტების“ პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რვაწლიანი და საშუალო სკოლების ასპარეზობებში გამარჯვებულნი. ყველას აჯობებს ახმეტის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებმა, რომლებმაც იმარჯვეს პროგრამის ყველა სახეობაში.

ბ. ნახიკაშვილი.

გეგმავკორი

რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გეგმავკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდები მონაწილეობდნენ სარაიონო პირველობაზე ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ გეგმავკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ჯედიდკარის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ტექნიკუმელებმა.

ი. ჯღარბაძე,
დ. ოდიშარია.

ლენინგორი

ფრანკურთა მოსწავლეთა რაიონულ პირველობაზე გოგონათა შორის უძლიერესნი იყო იკოთის საშუალო სკოლის კოლექტივი, ხოლო ქაბულებში — ლენინგორის № 1 საშუალო სკოლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვეს იკოთელმა ფრენბურთელებმა

ჩატარდა რაიონის ამსოლურტური პირველობა ქართულ ქობლობაში დიდი ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ხეთაველიანის სახელობის თასზე. საუკეთესო იყო მოსაბრუნელ ფალავანი მ. ავღოსოვი.

3. ვაქაიანი.
(ჩვენი კორ.)

ინფორმაცია

ინფორმაცია!



შეიქმნა კიდევ ერთი ქართული ოჯახი. ქალთა შორის ქაღალაქში მსოფლიოს პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, ხაერთაშორისო ოსტატმა ნანა იოსელიანმა თავისი ცხოვრება დაუკავშირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტს გოჩა დვალისძეს. გუშინ ახალგაზრდებმა ხელი მოაწერეს თბილისის ქორწინების სახლში.

ხიზარული და ბედნიერება ახალგაზრდა ოჯახს, ნანას — წარმატებები პრეტენდენტთა მატჩებში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



ზამთარი დგას ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ნაწილზე, მაგრამ კალიფორნიაში სერფინგის მოყვარულები არ ეშვებიან თავიანთ საყვარელ სპორტის სახეობას და გაბედულად მიაპობენ წყნარი ოკეანის ტალღებს.

საკდების ფოტო.

შაში

10 წლის პირველთანრიბოსანი

დამთავრდა თბილისის პირველობა ასუკრიან შაში ჯაბუყეზას და გოგონათა შორის. წარმატებით იასპარეზა 61-ე სკოლის მე-4 კლასის მოსწავლემ 10 წლის ჯუმბერ ბერიშვილმა. მან შესანიშნავად ჩაატარა დაბოლოება გადამწყვეტ პარტიში ოსტატობის კანდიდატი, 17 წლის ა. სამაღაშვილთან და მეტოქეს დაეწია. თითოეულმა 13 ქულა მოაგროვა 16 შესაძლებლიდან, მაგრამ ჯუმბერს კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა და ჯაბუყეზა შორის თბილისის ჩემპიონი გახდა. მან მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. III ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ს. სარგსიანი — 9,5.

ქაბუკი ჩემპიონის მწვრთნელი ს. შავერდიანის კიდევ ერთმა მოწაფემ ისახელა თავი: 23-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლემ, 11 წლის მეგი ბარბაქაძემ, რომელმაც გოგონათა შორის II ადგილი დაიკავა. ახალბედამ 10 პარტიში 7 ქულა მოაგროვა და მოზრდილთა მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ნიჭიერი გოგონა მხოლოდ ერთი ქულთ ჩამორჩა I ადგილზე გამოსულ 127-ე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს, პირველთანრიგოსან როზა სარგსიანს და კოეფიციენტის ცხრილით გაუსწრო მესამე პრიზიორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტს, პირველთანრიგოსან მ. ვერულიძეს.

3. იწვიპრევილი, შეჯიბრების მთავარი მდივანი.

სპორტული ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 52-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:
პირველი: ექვსი ციფრი გერაინ გამოიცნო. ექვსი ციფრის (შელავთიანი ბურთულით, 2 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 1862 მანეთია, ხუთისთვის (75 ბარათი) — 862, ხუთისთვის (შელავთიანი ბურთულით, 114 ბარათი) — 44, ოთხისთვის (4116 ბარათი) — 19, სამისთვის (41350 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი და ექვსი (შელავთიანი ბურთულით) ციფრები გერაინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (11 ბარათი) მოგება 3589 მანეთია. ხუთისთვის (შელავთიანი ბურთულით, 29 ბარათი) — 91, ოთხისთვის (678 ბარათი) — 66, სამისთვის (15190 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5-36“-დან:
პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1170 ბარათი) — 157, სამისთვის (35651 ბარათი) — 6.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (603 ბარათი) — 372, სამისთვის (25864 ბარათი) — 9.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 9 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით.

ჩემპიონთა ტურნირის მოლოდინები

ვიტაშინაშვილი, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მხარი დაუჭირა 1980 წლის დეკემბრის დამლევა და 1981 წლის იანვრის დასაწყისში მონტევიდეოში ჩემპიონების ჩემპიონატის ჩატარების იდეას, რაც გათამაშებაში ყველა მსოფლიო ჩემპიონის მონაწილეობას გულისხმობს.

მიწვევა ტურნირში მონაწილეობის შესახებ გაუგზავნა იტალი-

ის, გერმანია, ბრაზილი, ინგლისი, არგენტინა და, რა თქმა უნდა, მსოფლიოს პირველი ჩემპიონის — ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციებს.

ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი შემოთვალა მხოლოდ ინგლისის ეროვნულმა ფედერაციამ. ეს იმით დასაბუთეს, რომ ტურნირის პერიოდში — 26 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ქვეყნის ჩემპიონატი გრძელდება და კლუბ-

ები არ დათანხმდებიან თავიანთი წევრები მიავლინონ ნაკრებში.

მაშინ ინგლისელთა ნაცვლად ტურნირზე მიიწვიეს მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული ჰოლანდიის ნაკრები. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ „ჩემპიონთა ჩემპიონატში“ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

აი, როგორია გათამაშების კალენდარი. მონაწილენი ორ ჯგუფ-

ად დაიყოფიან. I ჯგუფში 26 დეკემბერს ითამაშებენ ურუგვაის და იტალიის კოლექტივები, 29 დეკემბერს — იტალიისა და არგენტინის, ხოლო 2 იანვარს — არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთელები; II ჯგუფში 27 დეკემბერს ერთმანეთს შეხვედებიან ბრაზილია — გერ, 30 დეკემბერს — გერ — ჰოლანდია, 3 იანვარს — ჰოლანდია — ბრაზილია.

ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდება 6 და 7 იანვარს. 10 იანვარს გამოვლინდება ჩემპიონთა ჩემპიონი.

რაინერ ბონჰოფი

დასავლეთგერმანელი ფეხბურთელის რაინერ ბონჰოფის სახელი კარგადაა ცნობილი ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის. მსოფლიოს X ჩემპიონატის წინასწარ თამაშებში ბონჰოფს მონაწილეობა არ მიუღია, პირველად იგი მინდორზე გამოვიდა 26 ივნისს იუგოსლავიის ნაკრებთან მატჩში. 2:0 გაიმარჯვეს გერმანელებმა, ხოლო 30 ივნისს შედეგთან დაძაბულ მატჩში მან პირველი გოლი გაიტანა. ამას გარდა, ფინალური მატჩის გადამწყვეტი გოლი ჰოლანდიელთა კარში მიუღწევია სწორედ ბონჰოფის გადაცემით გაიტანა. ვასაკვირი არ იყო, რომ X მსოფლიო ჩემპიონატში ბონჰოფის თამაშს ფეხბურთის სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს, კმაყოფილი იყო ნაკრების მწვრთნელი ჰ. შიონცი. აქედან მოყოლებული ბონჰოფი მტკიცედ დაიკვირდა ნაკრებში.

საფეხბურთო კარიერა ბონჰო-

ფმა დაიწყო მონხენგლადბახის პოპულარულ კლუბ „ბორუსიაში“, ცნობილი მწვრთნელის ჰ. ვაისვილერის ხელმძღვანელობით. 70-იანი წლების დასაწყისში „ბორუსიაში“ თავი მოიყარა შესანიშნავ მეთამაშეთა თანავარსკვლავედმა: ფოგტსი, ნეცერი, ვიშერი, შტილიკე, სიმონსენი, ჰინკესი და, ცხადია, ბონჰოფი. გუნდმა ამ ხანებში დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც თავის ქვეყანაში, ისე საერთაშორისო სარბიელზეც. ორჯერ (1975 და 1979 წლებში) ფლობდა უეფა-ს თასს, ხოლო 1973 წელს ამ თასის გათამაშების ფინალისტი იყო. 1977 წელს „ბორუსია“ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, სადაც „ლივერპულთან“ დამარცხდა ანგარიშით 1:3. რამდენიმეჯერ (1975, 1976, 1977 წწ.) იყო ბუნდესლიგის ჩემპიონი.

„ბორუსიას“ ამ წარმატებებში იდი წვლილი მიუძღვის რაინერ ბონჰოფს. იგი „ბორუსიას“ და-

ცვის ბურჯი და შეტევათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. როგორც დასავლეთგერმანელი მიმოხილველები აღნიშნავენ, ბონჰოფი საჭარბო დარტყმების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია. მან ლამაზი გოლი გაიტანა საჭარბო დარტყმიდან „ლივერპულთან“ მატჩის დროს ჩემპიონთა თასზე. ბონჰოფი საკ-



მაოდ კარგად ურტყამს პენალტსაც. გავისხენოთ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში (1977 წლის 20 აპრილს) ბონჰოფმა გადამწყვეტი ბურთი კეეველთა კარში პენალტით გაიტანა.


რ. ბონჰოფი 1976 წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ბუნებრივია, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ნაკრების ხელმძღვანელობა გარკვეულ იმედებს ამყარებდა მასზე, მაგრამ ბონჰოფმა არგენტინაში უფერულად ითამაშა. ლაპარაკობდნენ, რომ ფეხბურთელმა ავადმყოფობის მერე ვერ მოასწრო ფორმის აღდგენა.

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბონჰოფი ესპანეთის კლუბ „ვალენსიაში“ გადავიდა, 1979 წლის 25 ივნისს კი მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა არგენტინელთა წინააღმდეგ.

მ. კალანდამე.

* * *

ს უ რ ა თ ე: რ. ბონჰოფი.



გუშინ მოსკოვში გაიმართა 1980 წლის „სპორტლოტოს“ პირველი ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:
პირველი: 1 (ავიასპორტი), 6 (კალათბურთი), 7 (ბიატლონი), 11 (ველოსპორტი), 16 (ტანვარჯიში), 34 (ხელბურთი), შელავთიანი ბურთული — 38 (მშვილდოსნობა).

მეორე: 7 (ბიატლონი), 8 (კრივი), 11 (ველოსპორტი), 38 (მშვილდოსნობა), 41 (ჩოგბურთი), 47 (პოკეი ბურთი), შელავთიანი ბურთული — 43 (ფარეკიობა).

„სპორტლოტო 5-36“-დან:
პირველი: 7 (ტრეკზე ველობოლა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 30 (სასტენლო სროლა), 33 (ფიგურული სროლა).

მეორე: 4 (კრივი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 28 (მშვილდოსნობა), 29 (ტყვიის სროლა), 34 (ფეხბურთი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპუტებისთვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივი ფიკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქაღალაქის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეგანქანები — 93-97-57.